


ბარბოსი

№ 5. იუმორისტ. ჟურნალი



ქმარია—ღარდში, ცოლი—მასკარადში.

ყველიერა ვაგვიოთენდა —
მასკარადები დგებოა,
ცოლი სხვა ვვარათ იკაზმის

იმას არ ესმის ქრის მოთქმა
და მისი ვაჭივრებოა,
ახალ-კლუბისკენ მიილტვის

ზოგი საჩუქარს მოელის
(ვინც კარვათ მოიროთვებოა),
საჩუქარიც რომ არ ერგოს

ვინმე ურცხოსა „ჩაპროშტავს“
 და გილზედ მოეშვებაო
 (ზოგი მეტისა სიმორცხვით
 მუხლზედაც დაუწევბაო.)
 რაც უნდა მახინჯი იყოს
 მაინც კი გამოდგებაო,
 (სახეს პირბადე უფარავს,
 შიგნიდან იქყიტებაო!)
 კაცი რომ თვალში შეხედავს
 სიცილი აუტყდებოა,
 თავს კი ბარიშნათ გაჩვენებს
 თუ რამე გაუხდებოა.
 ხელს მოგხვევს, წაიტანცავენს
 ზალაში გამოგყვებაო.
 (ბებერი კუნტიც რომ იყოს
 მაინც კი გაუხტებაო)
 ქმარი კი სახლში ლოდინით
 ჯავრიდგან გულზე სკტებაო,
 (იქით ბავშვები სტირიან
 კორიანტელი დგებაო).
 რომ მოვა ბევრიც ეჩხუბოს
 მაინც რა გამოდენებაო!
 ეტყვის: რაც გინდა ის ქენი
 (აგრეა ჩემი ნებაო)!.

კვლავ ღრუბელი, ბურუს-ნისლი,
 გადაეკრა შავად მთვარეს,
 გაჰქრა სხივი და წყვილიად
 მოფენინა არე-მარეს.

ცივი თოვლი ტურფა მდელის
 ლოდინით გულს დასწოლია
 და კოკორი ყუნწში ხმება
 ყინვისაგან დამზრალია.

ოჰ ზაფხულო, სად არს შენი.
 მდელი ტურფად მოქარგული,
 სად არს მთაზედ არ გადმოჰქუხს,
 მოჩუხჩუხე ნაკადული.

სად არს სხივი სინათლისა,
 მზე დიადი, მოელვარე,
 ცა ფირუზი, ვარსკლავთ გუნდი
 შუქმფენავი ბადრი მთვარე.

სად არს ჰანგი, საოცნებო,
 ბულბულთ სტენა სანატრელი,
 სად არს, როდის აჰყავდება,
 კვლავ ათას ფრად მინდორ-ველი!...

გოგია.

თხა და მგელი.

აბაკია.

(უძღვნი ზოგიერთებს.)

უხვმა ბუნებამ ბეკეკა თხაზე,
 (რალა თქმა უნდა შემოდგომაზე,
 თვისი გავლენა რომ მოახდინა,
 —ძალზე გასუქდა და მოახინა.
 იწყო კვინტრიში გასუქებულმა,
 (რომ არ ეხტუნა არ უქნა გულმა).
 თანც გადიდგულდა წინეთ მშიერი,
 თუ კიდევ იყო მახვდ ძლიერი, —
 აღარ სჯერადა, ავი არ სწამდა,
 ვინმეს უჩხუბრად აღარას სქამდა.
 აქ ბატს მივარდა, იქ სწიხლა ვირი,
 ღორიც წაქირჩნა („იბრძვის“ ვით
 „გმირი“).

ფინასაც წასწვდა, გაჰკრა რქეზია,
 (მოზრდილ მურას კი არ შეხებია..)
 მაგრამ ხომ იცი? ბრიყვი ატრუვდა,
 თხა ქუთით მოკლე (თქმა რალათ
 უნდა).

და ამაყათ სუქვა: „ლომი ვარ
 მძლავრი,
 ახლა მგელზე მსურს ვიყარო ჯავრი.
 სხვა რა მაკლია აბა კიდოვო?
 უთუოდ უნდა დავექიდოვო.“
 ბევრი უშალეს: „ნუ ამტყდარხარო,
 რაც გინდ გასუქდე მაინც თხა ხარო.

აბა იმასთან რას გახდებოა,
 ტყვილა ქადლით ნუ წუხდებოა.
 ქუთით იყავი, გაერკვიეო,
 გიჯობს შენს ტყავში დაეტიეო“..

მაგრამ არა ქნა,—„მე თხა ვარო
 სხვა,
 ის რას მიხამსო“ —ტრამახითა სთქვა.

„თუ იმ მსუნავს არ გავაძრე ტყავი
 მაშ რათ მინდაო ცოცხალი თავი.“
 და გაემგზავრა, მოსანახათ მგლის-
 მიდის ბეკეკა, ჩლიქებზედა ხტის.

მთლათ დაიარა ტყე და მინდორი,
 (ახლოს იქავე, თუ უფრო შორი).
 და იგიც ამ დროს, ოხერ-ტიელი,
 გაუჩნდა სადღაც, ძალზე მშიერი.

თან შემოსახა: „მადლობა ღმერთსო,
 ძლიესა ველირსე გაძლომას დღესო.“
 თხამაც — „მსუნავო, რაებს ჩმახავო!
 თუ ვინც გაძლება—მალე ნახავო.

მსურს მოგიქციაო სიგრძეთ განიო
 ჰა, მოდი, ვნახოთ მოედანიო!..“
 სულ ყველამ უწყის რაც მოხდებოდა,
 (აბა თხა მგელთან რას გახდებოდა?)
 მისწიწ-მოსწიწა (რალათ უნდა თქმა),
 ერთი მოქნევით ძირს მოიგლო თხა.

„ჰა!.. მიშველეთო,“ —ყვირილი
 იწყო.
 მაგრამ რალა დროს, გვიანდა იყო..
 გაჰკრა კბილები და მცირე ხანში,
 ველარ იძროდა მსუნავი ტყავში.

ბრძოლის აღვილს კი (თავს გეფიცვბი)
 დასტრავა მხოლოდ რქა და ჩლიქები.

ახლათ მოსულნი.

ღებულები.

(?—ლის საავენტრასაგან)

ჭიათურა. „Все благополучно“
 არ ვიცით მხოლოდ

„ცნობილი“ მიშა,
 საბჭოს კარებს რათ გამოეთიშა
 და ვალაც „კოტრი“ აიყოლია,
 რაებსა ჩმახავს ნუ თუ ჰგონია,
 თითქოს მუშები ისეა ბრმები,
 როგორც თვითონ და

ორიოდ სხვები?
 რომ ველარ იცნონ მოყვარე-მტერი
 (ასეთი ეხლა ვინღაა შტერი?)

ძველებს ითხოვენ
 და იმათ ნაცვლად
 შტრებიბებერთ რათ იყვანენ ახლად

მე არც ცოლი მყავს, არც შვილი
 და შმართებს მოთმინებაო,
 მაგრამ ქალების ამბავი
 რომ არ ვთქა, არ იქნებაო.
 საერთოდ არ მოგახსენებთ
 (ყველას ნუ ეწყინებაო),
 მხოლოდ ვინც იგრძნობს მათრახსა
 და თემო ეტკინებაო,
 (მასკარადებზედ ხინდრიკი
 ვისაც არ ერცხვინებაო),
 იმან ბევრიც რომ იტიროს
 მე მაინც მეცინებაო.

მა — ნი.

ზ ა მ თ ა რ ი.

დასქვნა მდელი, დასქვნა ველი,
 ია, ვარდით მოქარგული,
 შორს, სივრცეში მიიმალა,
 საოცნებო გაზაფხული.

გაჰქრა ქვეყნად თვალწარმტაცი
 მოქიკუკე მერცხალთ ფრენა,
 კვლავ ზამთარი სუსხიანი,
 კვლავ სიცივე კბილთა ღრქენა.

არც ბულბული ნახ ხმინი
 აღგზნებული გღლის ძგერა,
 და არც მთაში ლალ მეცხვარის
 სანეტარო ჰანგთა მღერა.

ამით სურთ შექმნან „არმია“ თვისი სად აქეთ ზნეობა ან საძრახისი?! და კიდევ „მუშათ ინტერეს იცვენ“ (ძირს მიწას, მალლა ზეცასა გვფიცვენ).

მაგრამ აქლემი არს იმოდენა, რომ შესძლოს მუდამ ვირისოდენა... და ზდანოვიჩი, გინდ ისილორე ველარ უშველის, დარჩება შორე...

იქიდანვე. ძლიერი ლელვის გამო, ქუჩებში სამგზავრო გემების მიმოსვლა შეწყდა. ერთი კვირაა ფოსტა არ მოსულა.

რგანი. (ჭათ. რაიანი) ეს-ფერთა კომპანიის სამგზავრო გემი, „ვ. გელოვანი“ ილუპება. საქირაა ჩქარი დახმარება...

ჭიათურა. საგუბერნიო ჟანდარმებმა, ადგილობრივ პოლიციის თანხლებით ვაზირაკეს უ—ძე. დააპატიმრეს „ნოკიაა რაბ. ვაზეტა“ და ერთიც ვაზეთის ხელმოსაწერი კვიტანცია. პირველს პბრალდება პეტ—დან სამშობლოში თავის ნებით დაბრუნება; ხოლო უკანასკნელი უპასპორტობის გამო შეიპყრნენ. დააპატიმრებულნი მეორე დღეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გაგზავნეს.

იქიდანვე. ამ დღეებში, ბახუსის წვენი თივი მოიწამლა ერთმა „კორესპონდენტმა“, რომლის მდგომარეობაც, ექიმების შემოწმებით საშიშა. თავის მოწამვლის მიზეზათ ასახელებენ წინ დღით მიღებულ ჯამაგირს.

სახინგე. ბოქ. აბაგაროვის წასვლის შემდეგ პოლიტიკურათ არაკეთილ-საიმედობისათვის გაძევებულ ღორებს ნება დართეს, სამშობლოში დაბრუნდნენ და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგნენ.

პერევისა. (ჭ. რ.) შეურაცყოფილი ძაღლები დაჟინებით შოთხოვენ ზოგიერთ მუშებისაგან ბოდიშის მოხდას, ნ. მ.—ძესთან შედარებისათვის. დღეს უკანასკნელათ ურდვენ ულტიმატუმს...

ჯარბელა. (ჭ. რ.) „კავკასიის ამბ.“ ქარხნის ხაზეინ—ბერენტს განზრახვა აქვს, მუშებისთვის ხელების ნაცვლად (რადგან უკანასკნელი არ-

ღვეს პიროვნების ხელ-შეუხებლობის კანონს) ხმარებაში შემოიღოს ჯოხი, რადგან ამით არც კანონი დაირღვევა და გულსაც იჯერებს სურვილისამებრ.

იქიდანვე. უცბათ მოისმა გალობა ზეცით: „ინტრიგანიზმი აღსდგაო მკვდრეთით“...

ჭიათურა. როგორც სარწმუნო და ურწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, აქაურ კიბიტალისტებს განზრახვა აქვთ, გამოიწერონ გამოცდილი „ტორმუზიკი“, რომელიც შესაფერისი ხელოვნებით „დაატორმუზებს“ ერთსა და იმავე დროს ჭიათურის ყველა საათებს.

(ყორანის სააგენტო)

ჩოხატაური. ფარცხმის საზოგადოების მწერალი მელქისედეკი გადაიკვანეს ამაღლების საზოგადოებაში, მას ბრალს სდებენ ბოქაულ კაღანდიას გაპრავაჟების დღეს, მამასახლისებთან ერთად წადიმის გამართვას და ცრემლიანი სიტყვების წამოთქმას, რომელიც აქებდა და აღიღებდა.

იქიდანვე. დარაჯ შათირიშვილს უსურვებთ რომ თავიანთი დები და ძმები ეცნოს და მათარახის ცემას უდანაშაულო პირებზე თავი დაენებებინოს.

ლესა. მღ. რაფიელ კლანდაძეს უღრმეს მადლობას უძღვნით, რადგან ის შევიდა ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობაში და დრამის ფული გვაპატივა. უსურვებთ დანარჩენ საზოგადოების სამღვდლოებას, როგორც იესო ქრისტეს მცნების ამსრულებელთ, შეეცოდებიოს დამწეული ხალხი და ეპატივებიოს დრამის ფულეები.

(ისკანდერის სააგენტო.)

ბათუმი. ვ. ძნ—ძე გამდიდრების სურვილებით არის გატაცებული, ორი კი არა, ოცდა ორი ერთი რომ გადიკდოს ის მაინც აარსებს არტელს. კუჭი უკვე გაუგანიდა.

იქიდანვე. სასტუმრო „ფრანციის“ პატრონმა მოსამსახურების ჯამაგირები შეიტყემლისკვერა.

იქიდანვე. ნოქრებმა დაიარსეს საკუთარი ბიბლიოტეკა გამოწერილი აქეთ ყველა ნაირი ჟურნალ-გაზეთები თავისუფალ დროს სულ კითხვაში არიან გართული. საშიშაა ნამეტანი კითხვისაგან თვალები არ ვაიფუქონ და „აჩქები“ არ გააძვირონ.

ლანჩუთი. ზოგ ახუნტუცებულ ყმაწვილებს ხელის ქავილი აუტყდათ. სწერენ: დუქნებზე, ქიშკრებზე სადგურის I-II კლასში და სად გინდა რომ არა. სწერენ საეთოდ არშიყოზაზე.

ბათუმი. დიტო გუგუსკუას არხეინათ სძინავს.

ს. ველი. მგ—ძეებმა ურ—ძისას ქორწილის შემდეგ „შელული“ გამართეს. ამის გამო გული შეუწუხთა ირინეს ინდოურს და ორ მეკვერცხე დედალს, რისთვისაც პროტესტს უცხადებენ მთელი ველის ქათმები მგ-ძეებს ძველი დროის შამოღებისთვის და უკულტურობისათვის.

ს. ეწერი. ჩერეს თამაში დროებით შეწყვეტილია.

ს. აცანა. დაიკარგა მასწავლებელი ქალი ლიპა. სასწავლებელში სწავლა შეწყვეტილია. ბავშვები თუ არაფერს ისწავლიან ეს მათმა მშობლებმა იტიროს.

იქიდანვე. ყოფილი მწერალი ორმოცაძე ორმოც სახარებაზე ფიცულობს: მე საზოგადოების ორმოცი კაპეიკი კი არ შემიქამიაო. საზოგადოება ორმოც ღერ სანთელს სწირავს ოქონის ეკლესიას რომ ეღირსა ორმოცაძის თავიდან მოშორება.

ს. აკეთი. აკეთი გზას ეძებს, ზაცანა ბიბლიოთეკას და ს. ბ—შვილი კარტის მოთამაშეებს.

ს. გაგური. ხარტონმა სიზმარი ნახა ვითომც აცანაში დღლეფანი დადიოდა. გამოღვიძების თანავე მღვდელთან წავიდა და ღმერთს მადლობა შესწირა რომ ეს სიზმარი იყო და არა ნამდვილი.

(უზანდარას სააგენტო.)

ფოთი. „უტუს ჯარი“ საგან დაფრთხალი ხმონები ღამით ლაფში ჩაცვიდნენ, გამოიწვიეს კაკულის

კამეჩების რაზმი მათ ამოსაყვანათ, მეტადრე დაზიანდა ხმოსანი კილურაძე.

იქიდანვე. ხმოსანი ესებუა ახლო მომავალში გამოსცემს თავის შესანიშნავ „რეჩების“ კრებულის სათაურით „მეშიტ“-ს ნუ შვრები“ ხელის მოწერა მიიღება შავრაზმელთა რედაქციაში.

(კონწარობის სააგენტო.)


ჩოჩხათი. მაგარი ყინვების გამო ნიტიფო ბლიკვაძეზა ტვინი გაუყინავს რომელიც ექიმების შემოწმებით აღის 60 გრადუსზე, ის საზოგადოების ხარჯით გაგზავნილ იქნა ექიმებთან ქალაქში—განსაკურნავათ.

უნაგერა. საჭიროა აქაურ სანიტარულ კომისიების შეფუცხუნება რომ ამ მზიან დარში გამოიღვიძონ და ხელი მოკიდონ თავის მოვალეობის შესრულებას.

(კულრაქას სააგენტო)

ხაშური. აქ არსდება ახალი, ავტონომიური სამამასახლისო, რომლის მამათ, ანუ მამასახლისად „სანდრო ბითურას“ აირჩივენ. როგორც ამბობენ: კაცს ფრიად პატიოსანს, მოხერხებულ მაჭანკალ-აფერისტს და ავტორიტეტთან თვით აღმინისტრაციის თვალშიც. ხმეზი დაღის—ღვინის სარდაფების დამოუკიდებელ ზედამხედველობასაც მას ჩააბარებენო. საზოგადოების სიხარულს საზღვარი არა აქვს.

იქიდაცვე. ჩინოვნიკი ვ. ძინძიბაძე, სანდრო ჯაფარაშვილი და პრაოვიზორი კოსანჩევსკი, საკუთარის ხარჯით—სანატორიუმს ხსნიან თურმე—ღარიბ კლექით შეპყრობილ ავთიშყოფთათვის, რომლის გვერდით გახსნილი იქნება უზარ-მაზარი ჭირნახულეების საწყობი, საიდანაც მშინერთ უფასოთ მიეცემათ ჰური.



ო ი ნ ი ა!

მსურს გავაცნო მარშალოვი ჩემო ძმაე მათრახოსანო!
ამისთანა კაცს სჭირია ჭკუაზედ რომ მოიყვანო.

როცა ჩახვალ მის სარდაფში ნახავ თუ რა იონია,
წინ ბუფეტი საუცხოვო,
უკანა აქვთ ბონია!

რა ფხიზელი ჩაბრანდები მეგობრულად დგაპატიეებს,
წინ დავიდებს კვარტიანსა იმდენს გასმევს გავაგიეებს.

როს დათვრები გემრიელად და ანგარიშს გავისწორბს,
შეგიყვანენ შავს ოთახში, მუშტა გკრავენ, გავაგორებს.

ამს ჰქვიან სირის კული ბოლოს პირი ჩაიტკბუნო,
გათქმევიონ სიმღერები რომ მტრედევით ილულუნო.

და თუ გცივა გაგათბობენ იქნებ კიდევ დაიცუნო,
ორი ოდეს ზურგში გკრავენ წელში აღარ მოილუნო.

ბრძანებს: ესე ფულებს ვიგებ სხვა რა ჩამიდენიაო,

ყველას კბილებს ამოვადრობ ამის ნება ჩვენიაო.

ვინც რაც უნდა ისა ჩმახოს ესე რათა ჰქენიაო
მინც კიდევ ჩემსას ვიზამ არავისი მცხვენიაო.

მისთვისა მაქვს ეს პატენტი მასთან რაზრეშენიაო,
თუ კი საკრავს დაუკრავენ მღერაც მოსახდენიაო.

ღირსი კი ვარ მათრახისა ღმერთ რომ გაუჩენიაო.
არ იქნა და არ მელირსა ამისთანა ძღვენიაო.

მეჩექმე.

გამოცანა.

(აზურგეთისათვის)

გამოცანას მოგახსენებთ—
ადვილია, არა ძნელი;
ვისაც ახლა გეუბნებით,
ბევრჯერ ხართ მისი მნახველი...
ახალ აფთიაქს პატრონობს,
ყმაწვილია სურბელი,
ამას ისეც გამოიცნობთ,
არ გპირით თქვენ სახელი.





კატაბრიობის მისწრაფება სიმშვენიერისაკენ.

თაიგული.

(მიბაძვა).

ამ ვაჟ-კაცმა დაპირება,
 ვგონებ, არხივს მიაბარა...
 წამლის მზადებაზედ უფრო
 არ შეიყობა შეიყვარა.—
 ახალ „ნაცნობს“ დაუდოსტდა,
 ეხუტება გზა და შარა;
 თავის საქმეს გულს არ უდობს,
 მასთან ძვრება წარა-მარა...

შენ გეტრფი მარად..

(მიბაძვასავით.)

როდესაც შორს ხარ,
 ვერ ვხედავ თვალით—
 გული იღავის
 ცეცხლისა ალით
 და ჩემთვის, წყნარად
 კრემლი მდის ღვარად—
 შენ გეტრფი მარად.

ის „ნაცნობიც“, რა თქმა უნდა,
 არ შეიყა „დანაფიცი“...
 დღე და ღამე „პოდრუჩკობენ“
 ძლიერ უყვართ მათ ხვინტრიცი..
 ქმარსაც არ ერიდებიან,
 ხტუნაობენ როგორც კვიცი
 და.. კასა კი აფთიაქის,
 რა დღეშია—აღარ ვიცი!..

გულს აღმებეჭდა
 მე შენი სახე,
 რა გაგიცანი,
 რა ერთხელ გნახე
 ჩემთან ხარ კვალად,
 ცხადად, სიზმარად—
 შენ გეტრფი მარად.

კოჭლაძე.

სულის სევდა!

ტანჯულო სულო საით ჰქროლი?
 და რომელ მხარეს!
 იქნებ ეძებდი იმ მიდამოს,
 იმ არე-მარეს;
 სადაც, რომ მუდამ უქნობია
 ია-ვარდები!..
 და ტრფობის ხმითა ისმის ტკბილათ
 ბულბულთ ჰანგები!..
 ეჰ სულო, ჩემო,.. ტყვილად ეძებ
 იმ ტურფა მხარეს,
 საითაც წახვალ ყველგან ნახავ
 კრემლს, სიმწუხარეს!..

როდესაც ვხედავ—
 ვერ ვძღები ცქერით.
 შენის სიტურფით,
 შენის ელფერით
 ვიქცევი მწვარად,—
 ტკბილ მომღიმიარად,
 შენ გეტრფი მარად.

შენის სიჩუმით
 მე გულს მიწყალავ,
 რისთვისა მტანჯავ,
 რათ არ მიბრალავ?!
 მითხარ აშკარად,
 ჩემს გასახარად:—
 „შენ გეტრფი მარად“.
 დარდიანიძე.

სიმართლიშვილი.

ლანჩუთს ნოტიო მოვჰპარე,
 სინაზე—ტურფა ნინასა
 და სურნელგება, ელფერი
 „იმავ“ ვარდისა ბინასა.
 სიმშვენიერე თამარას
 და სიხალისე—მაროსა,
 („ყოველ სიკეთით შემკულსა,
 ყოველ კეთილის წყაროსა“).
 „კისკისი“ მალხაზ მარუსას,
 კაშკაში შუქი ანნასა,
 და ბრწყინვალეება ლუბოჩკას
 (ქუჩაში მოქაქანასა).

მთელი სიტურფე ლანჩუთის
 შევკარი თაიგულათა
 და შენ მოგიძღვენ მაკარი,
 ეს შენ გეკუთვნის სრულათა.
 ნიშნათ პატივისცემისა
 მიიღე ქუჩათ მთავარო,
 უსაქმოთ მოხეტიალევ,
 მანდილოსნების ავარო.

გ. ბ.

გურული სცენა

ასალოს ჩივილი.

„გადაბრუნდა ქოყანაო ბზიკს შია
 ჯდა კოლანაო“ საგანგებოთ ამ ახუნ
 ტრუცებულ ბორჯის ქილებიზა ყო

ფილა გამოკიბოზან-შალაშინებული, თვარა ბებინსანა მეოჯახეზა ვინ თავპირ გასაფრეწი დასძრავდა ღრინს. ბურჟუაზია ქალბატონების გამოისობით დღეს ყოლიფერი რო ჩაქცეულჩარანცხულია, ეს კაი ხანია ვიცი, მარა ამ ჩემ ფეხ-დაფურეშეხეხულის უკმაკურობას ქარ უშხერ, რაცხა სასულესთან ქველასავით შემომამფრინდება და ტვინიდან დაწყებული ფეხის ფრჩხილებამდი მიაუ-მიაუს მიშობა. გუშამა შენ ჩემი ბატონი ხარ, მაცდურათ ამომეხუთხა ქალი გვერდში, გამიზნა თმიი მურთაქაზე, ჩამკოცნ-ჩამეკოპწილა კისერში და მომიყვა პუტუნს: ოჯო! ერთი სოფიოს ჯინზე კვირობაში გამაპრავეყე თვარა იცოდე იმისანა გუნებაზე ვარ რაცხა საფარცაკო საქმეს ვიზამ; გაქცეულ მაშინას დავენჯეხები და სულ სორომ-გორომით ვავებით და რაც მახე დონხტურებია ყველაყას თებზივით დავაქარფალებო.—მერე ხეთის პირიდან წაღებული იმისთანაი მუულრეკელი როკაპია, თუ ამეჩიმა რამე, სავეტ ძუძუ პირში რო ჩაუდვა ვერ გააჩერეფ თვარა ვარის თქმია მასთან რავა გამივიდოდა. ისთველე დიდის მოწიწებით დუღროქე და დიველლარჯე: ხომ კი იცი უქმ და უქმს ქერემანის თავში დაძვერების გულიზა მაშინაის პატრონმა 25 ტლიკვი მანათი შტრაფი დავგაყაქვია, ახლა მაშინას საფელამუშე თითი რო წააკარო სიქსილიონს არვინ დავაჯერებს, ამას ნუ იზამ და კვირობაში კი არა თუ გინდა პარასკობაში რაფოიეს ნაფეშქეშარი იწკი-პიწკი პრაწაპრუწი პოლსაბოშკებით „ტუდა სულა გულაით და გულაით“ მეთქი... გამეჩინა კოჩალობა და მოყვა რძით ხელ-პირის დათთქინებას, ლლიცერინაით დეილლიცერინა მთელი ნახსამი, შანთით დეოზირეკა თმიი, მიიკრა-მოაკრა თუ სადმე ნაქინქვი გავგაწთა და რავარც საშველ-სახიდებელი კი დაადგა შის მოკაზმას, გავქეცელით ნიგოითში. კაი მუუვიდა იმდონი კოსანდილე თფილი ლომის მოსადილე ხუცესი რავარც მისი გამოისობით აქანაი შფოთი შე-

მხვთა. ხამსიასავით ასვრილ ხალხში ვისაც კი შეიყარა თავ-გიდელას და თავ-ხაპუწას ჩემი ვარდიშო, თუ დამიჯერებთ ყორყში სისხლი გამიშრო, ყველაყაი „დვინოთ“ ვადაპროშტა და ზედ მიაკარქა ჯვარ ნაწერი ბროშკა. ამას ვინ ჩიოდა ამ ლისკინა ჯარში სულიან-ხორციანათ ხელიდან არ გამძროდა... დანა არ მიღებს პირს ისე ვარ მოქცეული და აყუღებული, რავარც ხანდისხანდაი ნახხუთის სამკითხველოსთან იციან „ნაწვალეზათ ნასტავლებმა“ და მომაყარეს და მომაყარეს ხოშკაკალსავით აქიდან იქიდან არჩილის-დარჩილის და ფოსინაის ამბავი... დამეგრუზა თავი თეთრი ბანალით. ნეტაი გამფეშკებოდა ფეხი ღროზე და ამ სოის ამბავს არ მოვსწრებოდი..რავერ წაახთინეს სოფელი ამ იხტიბარ დაკარგულ ყაზირალეზმა... ავინი თუ ვადირია-გადიშალა, აი კოსანდილე ხუცესი რამ გააბაღლა ასე ჯვარი რო დაწერა, ახლა ერთობას მაინც ვერ დააბრალებს. ბევრი ხუცესი მინახავს სულუხსარი და მესველე კატასავით დუნჩი ქანქარში რო მიკონდა, მარა მთელ მუხტუროს მოსაჯაყ საქმეს ხუცესი შობოდეს ეს არ ვაგონილა და არც შერჩება, ჩივილით თუ ვერასფელი ვაწყინეთ, თუ კაძახები ვყოფილვართ ავერ ერთობის დროი ქარ მუა წუუყენებთ კრებებს, დავაქილავთ წვერებს, მუანატრებთ კვერებს და ცას და ქოყანას დავანახებთ რავი მუცლის ხუცესია.

თემუ—

ჩ მ მ ს ი ბ ს .

ნუ შეგაკრთობს ზამთრის სუსხი, სუსხი ზამთრის ნუ შეგაკრთობს; ნუ მოგზიბლავს მტრის ალერსი, მტრის ალერსი ნუ დაგათრობს.

ნუ გატყუებს მზე ზამთრისა ზამთრისა მზე ნუ გატყუებს, ის გათბობას შეგპირდება, მაგრამ ცივად მოგატყუებს.

გრწამდეს მოსვლა გაზაფხულის, გაზაფხულის მოსვლა გრწამდეს;

რომ მით სევდა გაგეფანტოს, რომ მით გული დაგაიმდეს.
მოსე.

გ ა მ ო ც ა ნ ა

(ამ. კავ. რკინ. გზის თბილისის ლიანდაგის მუშების საყურადღებოთ).

ენა გრძელი, გაიძვერა, უფროს მუშად ხმობალია, გზის „მასტერიც“ კარგათ წყალობს, არის მისი ძმობილია.

წინაც უმფროს მუშად იყო, „პასობია“ გაიტანა, მაგრამ როცა ვადაქამა ისევ გაჩნდა „მასტერთანა“ არვინ იცის, როგორ მოხდა, ან როგრა შეიძინა, მხოლოდ, ეს კი აშკარაა რომ ხელთ ივლო ძველი ბინა.

ესლა ისევ ფრთა გაშალა, ჩარხს აბრუნებს ძველებურად, თვის „ქეჩხოში“ არ ეტევა, იქიმება მედილურად.

პირში არვის აწყვიენებს, ჩუმათ დაასამარებსა, თუ ღვინითა არ გაბერა, მუშებს არ გაახარებს!

შანთი.

პროვინცია

ს. ბომბოთი.

მათრახო შენი ქირიმე ქირიმე შენა წვერისა, ჩვენს სოფელს, გადმოხედვი, გმირი ყავს რიყა ფერისა, სოფლის „სტრაეია“ ბატონობს აიკლო ჩენი სოფელი, ლანძღვა გინებით შეგვამკო, მის სახლის წინა გამვლელი!

დედა-კაცს ხანჯლითა დაზღვეს მხეცურად მოსაკვლელადა, მთელი სოფელი დაჩაგრა, თან თავი მოაქვს მცველად.

ძმის წულ ობლებსა არ ინდობს დალატობს დღისით დამითა, ქურდებს ინახამს და მით ხალხს აღარ ასვენებს წამითა,

აწ ხო გაიგე მათრახო, თუ რა ნაირი გმირია, ჩვენც შენ გნით ველით შევლასა მწარედა ანატირია,

ორმოცდა ათჯერ, გადაკარ,
აუწვი ზურგის კანია,
თორემ თარეშობს ეს გმირი,
ჩვენს თავზე დიდი ხანია.

გ. მიაიშვილი.

სოფ. შუბანა (ბაქოს მხარე)

უკვე სამი კვირა არის
მივატოვე ქალაქ ბაქო,
ბედნიერთა საპარბაშო
უბედურთა სამურ-ლაქო!
შუბანაში გადმოვედი
იქ ვიშოვე ცივი ბინა;
ამ ზამთარში გავსუქდები
და ზაფხულში წავალ შინა!
ძილში ვნახე, რომ ფანტანი
დაჰკრა ჩემთვის ათმა-ქამა;
ერთი სიტყვით ქონს მივიკრავ,
თუ მგელებმა არ დამქამა!
ყოველ ღამეს დაზუიან
ხან ახლოს და ხან შორა,
„ვოლჩი ვაროტს“ უძახიან
ჩვენს ზევით რომ არის გორა.

ამბობენ: ღღეს იქ არიან
იმ გორის ქვეშ შუნაგობენ
და ღამით-კი შუბანაში
მოდიან და მსუნაგობენ.
არც ნაკლები მსუნაგია
თალი, ბეგი და საფარა;
თვითეულმა ნახევარი
მილიონი გამოთხარა.
სახაზინო მიწის საქმე
პეტერბურგში მოახერხეს
„ზაიავკა“ გამოაცხვენ
და გორები გადახერხეს!
ორმოცამდი ღესეტინა
მიწა მოხვდა „ზაიავკას“;
მზა-კებებს, ვიშკებს, ნეფთის ქვაბებს
და თათრების ღუქან-ლაგვას.
დაფატურდენ, გააქნიეს
აქეთ-იქით თავ ტორები,
ამ ნაირათ შეაფეთეს
წვრილი არენდატორები!

მაგრამ არც მათ სძინებია
სთქვენს—საქმესა უნდა პოვნა;
შევერთდენ და პეტერბურგში
ღურთეს ბარე ათი თხოვნა!
მზა ქონებით მაღა გახსნილთ,
მოუვიდათ ცუდი ცნობა;
„სხვის მიწებზე რომ ბლაუქობთ
რათ დაკარგეთ ასე გრძნობა!

ჩვენ ცარიელ მიწას გაძღვეთ
და არ ნაშრომ-ქიანებსო
შესდგე, თორემ ხაზინა შორ
მხარეს გაგაქიანებსო!“

სამთა ფეხი შეეშალათ —
დაავიწყდათ მამა პაპა!
ბედს სწყევლიან, სიმრუდემ რომ
სიმათლის ხმა ვერ ჩაყლაპა.

დანარჩენსა შემდეგ გაცნობთ
თუ კი შევხდი სამათრახოს
რომ მისი უბედურება
ყველამ თავის თვალთ ნახოს!..

ვაშა-ბაქურა.

თავსატმინი ამბავი

(ქ. ამხ. სტამბაში).

გამოცანას მოგახსენებთ,
დიდი არაფერიაო,
ერთი სტამბის ხალხის საქმე
სწორედ საკვირველიაო,
თავიდან რომ ჩამოვთვალო,
ყველა მეცნიერიაო,
გასავალი იმასა აქვს
ვინც უფრო ცბიერიაო,
მუშა ჩუმი და უღონო
არსად არაფერიაო,
ერთმანეთში გაბმულია
მეგობრული ქსელიაო,
დიდი მელა-კუდობა
აქაც მშვენიერიაო,
პირფერობა და ლაქუცი
თავის დასაცველიაო,
რა ქნან, ღღეს დრო ასეთია,
ყველა ხორციელიაო...

ერთი არის მეტად ქრელი,
ძნელი საცნობელიაო,
გველივით ფარისველი,
ენა მოსაქრელიაო,
წინად ერთგული მოთავე,
ენლა გამყიდველიაო,
პირში ტკბილი მეგობარი,
უკან მიწის მთხრელიაო,
თავის სარფისა მიმყოლი,
ლორმუცელია მსმელიაო,
შუა ენისა ჩამგდები,
ყველას სარიდელიაო...

პარასკევე დილა ვათენდა,
ღღესი სანატრელიაო:
ჩარხები დაზრიალებენ,
ყველა ოფლის მღვრელიაო,
„ქუმელა“ შემოიტანეს,
მეტად გამრიელიაო,
სიფთავას ხელში ეჭირა,

თვალი ჰქონდა სველიაო,
ზედ ნუშ-ქიშმიში ელაგა,
კოვზიც ილა ქრელიაო,
ვასილვევი გამოქანდა
უცებ სტაცა ხელიაო,
დასამიძეს ეგონა,
ვაი თუ ჯერ ცხელიაო,
შამშო კინალამ დაიხრია,
ამოიშო ყელიაო,
მიკიშვა იფურ-თხებოდა,
როგორღაც სხვა ფერიაო,
გემო იმიტომ არა აქვს,
ალბათ ცოტა ძველიაო,
ვინც აღებას არ მოასწრობს,
იგი ქკუა-თხელიაო,
ღმერთმა შეკდრებსა მიაგებოს,
კოღოა და ძნელიაო...
მიხო პირიდანა ჰყრიდა,
რალაც მახრჩობელიაო,
ნიკა ხმას ძლივსლა იღებდა,
ეს რალა საქნელიაო,
კბილებში ისე გამება,
წებოსავით სქელიაო,
არც მწარეა, არც ტკბილია,
თითქო გაუცრელიაო,
თურმე ნახერხი ყოფილა,
ზოგიც შრეში ერიაო,
ლაბაძეს მეტი სიცილით
ეტკინა მუცელიაო,
დიომიდეს ბრაზისგან
მოსდიოდა ცრემლიაო,
ფიალკოვსკი ილანძღება,
ახლა ჩემი ჯერიაო,
ცოტა ახლო მეც მიმიშვით,
გული გადამელიაო,
იმას მართალი ეგონა,
ვერ მოავლო ხელიაო,
მერმე კიდევ უხაროდა,
ღმერთი ჩემი მცველიაო,
რომ მექამა, მოვკვდებოდი,
ისეც მტკივა წელიაო,
მუქთა-ხორა, მსუნაგობა
თურმე ასე ძნელიაო,
ვაჯავრებული დავთვრები,
ენლა ყველიერიაო,
სესიევის სარდაფშია
ღვინო ლალის ფერიაო.

სარქისა*)

*) ჩემო სარქის, ეს ამბავი
რალა დასაწერილაო!
ნახერხი შეგიკამიათ?
თქვენ დაგექათ კერილა!
განა მართლა თქვენ სტამბაში
სულ ყველა მშვიდრიაო!
მიკერს—ერთად ვინ შეგყარათ
მაგოდენა შტერილაო.
„მათრასის“ ამწყობი.

